ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 7

27 იანვარი

"---"-------- 2015 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა N29-29ა-ში მდებარე შენობა-ნაგებობა N2-ში, პირველ სართულზე არსებული 207,37 კვ.მ ფართის და შესაბამისი წილობრივი მიწის ნაკვეთის ააიპ „თბილისის პორტალისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, ვადიან, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანმობის მიცემის თაობაზე

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებულმა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულმა პირმა - „თბილისის პორტალმა" 2014 წლის 21 ნოემბერს NQN11267403 განაცხადით მომართა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და ითხოვა ქ. თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა N29-29ა-ში მდებარე შენობა-ნაგებობა N2-ში, პირველ სართულზე არსებული 207,37 კვ.მ ფართის და შესაბამისი წილობრივი მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.14.015.025) პირდაპირი განკარგვის წესით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის "დ.ე" და „ე.თ"ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და მე-6 პუნქტის საფუძველზე:

1. თანხმობა მიეცეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული, დანართით გათვალისწინებული, ქ.თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა N29-29ა-ში მდებარე (საკადასტრო კოდი: 01.10.14.015.025) შენობა-ნაგებობა N2-ში, პირველ სართულზე არსებული 207,37 კვ.მ ფართის და შესაბამისი წილობრივი მიწის ნაკვეთის ააიპ-„თბილისის პორტალისთვის" (ს/ნ: 405026877) პირდაპირი განკარგვის წესით, ააიპ-„თბილისის პორტალის" (ს/ნ: 405026877) არსებობის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით, გადაცემაზე.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

დანართი

№	მისამართი	სარგებლობის უფლებით (უზუფრუქტით) გადასაცემი უძრავი ქონების დახასიათება	საკადასტრო კოდი	შენიშვნა
1	ქალაქი თბილისი, ქუჩა მიცკევიჩი, N 29-29ა,(ნაკვეთი N15/25)	შენობა-ნაგებობა N2-ში პირველ სართულზე არსებული 207.37კვ.მ. ფართი (ნახაზი №1.1-ში მითითებული დაშტრიხვის გათვალისწინებით) შესაბამის წილობრივ მიწის ნაკვეთთან ერთად	01.10.14.015.025	